შეხვედრა გორკიში

გორკი. 16 მაისი (ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან).

დღეს თბილისის “დინამო” მორიგ კალენდარულ მატჩში შეხვდა ადგილობრივ “ტორპედოს”. ხანგრძლივი წვიმის შემდეგ გამოიდარა, რამაც თამაშისათვის ხელსაყრელი პირობები შექმნა.

დინამოელები შეჯიბრებაზე შეცვლილი შემადგენლობით გამოვიდნენ. კარს იცავდა სანაია, ხოლო მარჯვენა ფრთაზე კოტრიკაძის ნაცვლად თამაშობდა ვარდიმიადი. გარდა ამისა მატჩის პირველ ნახევარში სარჯველაძეს ფეხი დაუზიანდა და მისი ადგილი ნ. გაგნიძემ დაიკავა.

თამაში თავიდანვე სწრაფი ტემპით დაიწყო. ტორპედოელებს პირველ რვა შეხვედრაში არც ერთი გამარჯვება არ ჰქონდათ, ამიტომ ისინი მაქსიმალური ენერგიით და მონდომებით თამაშობდნენ, ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს. პირველ ტაიმს შედეგი არ მოუცია – 0:0.

მეორე ტაიმი უფრო საინტერესო და დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. ინიციატივა ხელთ იგდეს დინამოელებმა, მათი თავდამსხმელები სულ უფრო ხშირად გადიოდნენ მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, სადაც სრული დატვირთვით თამაშობდნენ “ტორპედოს” მცველები და მეკარე. მალე თბილისელთა განუწყვეტელი იერიშები გოლით დაგვირგვინდა: ღოღობერიძემ, კალოევმა და ვარდიმიადიმ გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია, რომელიც დამთავრდა ვარდიმიადის ძლიერი დარტყმით – 1:0.

გორკელები მძაფრ შეტევაზე გადავიდნენ, მაგრამ თბილისელთა დაცვა წარმატებით იგერიებდა მოწინააღმდეგის თავდამსხმელების იერიშებს. მატჩი დამთავრდა თბილისის “დინამოს” გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

გ. ანთაძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

“ლელო”, 19 მაისი, 1954 წ.